ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N22

2022 წლის 25 მაისი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 10 მაისის N114-11422130150 მომართვის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში შეტანილ იქნას ცვლილება და დაემატოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, მესხიძის ქუჩა N9-ის მოპირდაპირედ მდებარე 486,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.42.10.598), თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი

საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დანართი								
N	**ქონების დასახელება**	**საკადასტრო კოდი**	**აუქციონის ფორმა**	**საწყისი საპრივატიზაციო საფასური (ლარი)**	**ბე (ლარი)**	**ბიჯი (ლარი)**	**შეძენილი ქონების ღირებულების გადახდის პერიოდი**	**გეგმის განხორციელების პერიოდი**
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ქ. ქობულეთში, მესხიძის ქუჩა N9-ის მოპირდაპირედ მდებარე 486,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.10.598	პირობებიანი აუქციონი _ საზოგადოებრივი დანიშნულების ცენტრის განთავსება	63200	40000	300	გამარჯვებიდან ერთი თვის ვადაში	2022 წლის მეორე კვარტალი